



10983/4-11/21 2 08112021

10983/4-11/21  
08-11-2021

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს  
ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში, თქვენი უწყების მიერ 2021 წელს განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ნიკოლოზ სამხარაძე



საქართველოს სახელმწიფო მინისტრი  
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

STATE MINISTER OF GEORGIA  
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 1851  
24/11/2021

1851-1-2-202111241028



საქართველოს პარლამენტის წევრს,  
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ ნიკოლოზ სამხარაძეს

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი მ.წ. 8 ნოემბრის № 10983/4-11/21 წერილის პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში 2021 წელს განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

თეა ახვლედიანი

სახელმწიფო მინისტრი

ხელმძღვანელობა



## ინფორმაცია სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში 2021 წელს განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციიდან მომდინარე გამოწვევების მიუხედავად, 2021 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობა განაგრძობდა სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" ეფექტიან განხორციელებას.

როგორც მოგეხსენებათ, 2020 წლის 21 სექტემბერს სრულფასოვანი ფუნქციონირება დაიწყო სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საპარტნიორო ფონდისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დაარსებულმა „მშვიდობის ფონდმა უკეთესი მომავლისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს, სტატუს-ნეიტრალური მექანიზმების გამოყენებით, გამყოფი ხაზების ორივე მხარეს ერთობლივი სავაჭრო პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხელოვნურად გაყოფილ საზოგადოებებს შორის დიალოგს, ნდობის აღდგენას და საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობის ხელშეწყობას.

ფონდის პირველი საგრანტო კონკურსი 2020 წლის 8 ოქტომბერს გამოცხადდა, რომლის ფარგლებში საქართველოს ორივე ოკუპირებული რეგიონიდან 27 ბიზნეს-პროექტი დარეგისტრირდა, რომელთაგან 14 პროექტი დასაფინანსებლად შეირჩა; აქედან 11 პროექტის განხორციელება 2021 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს.

ფონდის რიგით მეორე საგრანტო კონკურსი 2021 წლის 1-31 ივლისს ჩატარდა. კონკურსის ფარგლებში მიღებულ იქნა ბიზნეს-განაცხადების სამმაგი რაოდენობა - 84, რომელთაგან 35 პროექტი შეირჩა შემდგომი დაფინანსების მიზნით; აქედან 13 პროექტის განხორციელება უკვე დაწყებულია.

ბიზნეს-პროექტები მოიცავს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებას, როგორც არის მეცხოველეობა; მეფრინველეობა; მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება; კაკლის, ხილისა და ციტრუსების ბაღების გაშენება; რძის პროდუქტების, აჯიკისა და ჩირის წარმოება; ასევე ყავის გადამამუშავება, ავეჯის დამზადება და ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოება. პროექტების დაფინანსების ოდენობა 15000-დან 50000 ლარამდე შეადგენს.

აქვე აღსანიშნავია, რომ მშვიდობის ფონდი არის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, რომელიც ერთობლივი ბიზნეს-პროექტების განსახორციელებლად გრანტებს გასცემს საერთაშორისო კონტრიბუციების საფუძველზე. საერთაშორისო პარტნიორებთან გამართული ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, 2021 წელს ფონდში ფინანსური კონტრიბუციები განახორციელა გერმანიამ, შვეიცარიამ და გაერთიანებულმა სამეფომ.

სამშვიდობო ინიციატივის მეორე - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარების მიმართულების შესაბამისად, 2021 წელს, წინა წლების მსგავსად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოკუპირებულ რეგიონში სკოლადამთავრებული ახალგაზრდების საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში უგამოცდოდ მიღების თაობაზე, რაც განპირობებულია როგორც პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებით, ისე საოკუპაციო ხაზზე თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვებით. შედეგად, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონებიდან 276 სტუდენტი მოხვდა.

ამასთან, გაგრძელდა ე.წ. „1+4“ პროგრამის განხორციელება, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მათ შორის აფხაზებსა და ოსებს, გამარტივებული წესით ჩაირიცხონ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლიურ ენაზე მხოლოდ ერთი გამოცდის ჩაბარების გზით, რის შემდეგაც გათვალისწინებულია ქართულ ენაზე მოსამზადებელი ერთწლიანი კურსის გავლა. 2021 წელს, „1+4“ პროგრამით უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა შვიდი ახალგაზრდა ცხინვალის რეგიონიდან.

სამშვიდობო ინიციატივით გათვალისწინებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, წლის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს ჰქონდათ გამარტივებული წვდომა სხვადასხვა სახელმწიფო სერვისსა და სამოქალაქო აქტებზე, მათ შორის საქართველოს მოქალაქის პასპორტზე. 2020-2021 წლებში საქართველოს მოქალაქის პასპორტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა 57 პირმა აიღო.

სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ეფექტიანი განხორციელება სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს და მისი განხორციელება მომავალშიც გაგრძელდება, რადგან ეს არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ხელოვნურად გაყოფილ მოსახლეობას შორის დიალოგის, ნდობის აღდგენისა და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის მხარდასაჭერად.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, იგეგმება ვაჭრობის ხელშეწყობის პროცესის კიდევ უფრო გაფართოება და გაძლიერება; გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოებული პროდუქციის საგარეო ბაზრებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, საქართველოს უპირატესი საექსპორტო შესაძლებლობების, მათ შორის DCFTA-ს გამოყენებით, რისთვისაც სამშვიდობო ინიციატივის ფარგლებში უკვე შექმნილია შესაბამისი სტატუს-ნეიტრალური მექანიზმები.

ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განათლების შესაძლებლობების გაფართოების თვალსაზრისით, დაიხვეწება უკვე არსებული

მექანიზმები და პროგრამები და კიდევ უფრო გაუმჯობესდება წვდომა განათლების ყველა საფეხურზე, მათ შორის პროფესიულ და საზღვარგარეთ განათლებაზე.

საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივების თაობაზე ინფორმაციის ფართოდ და ეფექტიანად გავრცელების მიზნით, შეიქმნება ერთიანი საინფორმაციო პორტალი, სადაც აფხაზურ, ოსურ, რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსდება სრულყოფილი ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამების, სერვისების, შეღავათებისა და შესაძლებლობების თაობაზე. საინფორმაციო პორტალი უზრუნველყოფს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობის გაუმჯობესებულ, სრულფასოვან წვდომას ნებისმიერ საჭირო ინფორმაციაზე მათთვის გასაგებ ენაზე.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, 2021 წელს დაიწყო შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესი, რომელიც ფართო ჩართულობით - სახელმწიფო უწყებებთან, პარლამენტთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს. სტრატეგიული გადახედვის პირველი ეტაპის ფარგლებში მომზადდა შეფასების დოკუმენტი, რომელიც ასახავს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგიისა და თანმდევი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მიღწეულ შედეგებსა და წარმოქმნილ სირთულეებს. დაწყებულია სტრატეგიული გადახედვის მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებში მოხდება სტრატეგიული დოკუმენტების განახლება ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით, ახალი მიმართულებების, ინიციატივებისა და ღონისძიებების განსაზღვრა, რომლებიც მათ შორის შეეხმიანება სამშვიდობო ინიციატივის მიზნებსა და ამოცანებს.